

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს გუდაური სქი რესორტი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	5
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში	8
კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს გუდაური სქი რესორტი და მისი საქმიანობა.....	9
2. შესაბამისობის ანგარიში.....	9
3. ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:.....	10
4. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	19
6. ძირითადი საშუალებები	20
7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება	21
8. მიმდინარე სასაქონლო მარაგები	22
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
11. საწესდებო კაპიტალი	22
12. სესხები.....	23
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
14. სხვა ფინანსური ვალდებულებები.....	24
15. ამონაგები.....	24
16. საოპერაციო ხარჯები	24
17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	25
18. ადმინისტრაციული ხარჯები.....	25
19. სხვა წიმდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	25
20. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	25
21. ფინანსური რისკების მართვა.....	26
22. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	30
23. მეკავშირე და შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები	31
24. შემდგომი მოვლენები.....	31
მმართველობის ანგარიშგება	32

შპს გუდაური სქი რესორტ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გუდაური სქი რესორტი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს გუდაური სკი რესორტის აქციონერებსა და დირექტორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს გუდაური სკი რესორტი-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის, კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილების და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შპს „გუდაური სკი რესორტი“-ს 100% იანი მესაკუთრეა მავრიკიაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ინვესტმენტს ლიმიტედი, რეგისტრაციის ნომრით: 59132.

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მითითებული ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარეების შესახებ, როგორც ეს მოითხოვება ბალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბას“) 24-ის შესაბამისად.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობის ანგარიშგება მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია

ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავედროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ

აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით

კახაბერ თეთრუაშვილი

2025 წლის 30 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	40,791,484	40,748,729
სხვა არამატერიალური აქტივები		64,610	73,929
აქტივის გამოყენების უფლება	7	5,761,188	5,846,813
ინვესტიციები მეკავშირე და შვილობილ კომპანიებში	23	122,153	186,692
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,739,435	46,856,163
მიმდინარე აქტივები			
მიმდინარე სასაქონლო მარაგები	8	449,975	363,578
საგადასახადო მოთხოვნა		105,514	161,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	608,660	588,226
სხვა დარიცხული მოთხოვნები		522,285	259,185
ფული და ფულის ექვივალენტები	10	4,074,620	1,422,463
სულ მიმდინარე აქტივები		5,761,054	2,795,235
სულ აქტივები		52,500,489	49,651,398
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	33,742,114	33,742,114
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(6,549,741)	(9,590,318)
საკუთარი კაპიტალი		27,192,373	24,151,796
გრძელვადიანი ვალდებულება			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	12	14,305,448	14,819,882
საიჯარო ვალდებულება	7	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		14,305,448	14,819,882
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	6,432,069	7,168,307
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,678,844	2,746,555
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	891,755	764,858
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,002,668	10,679,720
სულ ვალდებულებები		25,308,116	25,499,602
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		52,500,489	49,651,398

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სქი რესორტ

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამონაგები	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო ხარჯები	15	15,035,298	10,355,266
საოპერაციო ხარჯები	16	(2,462,877)	(1,823,044)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	17	(3,822,056)	(2,788,047)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(84,864)	(52,905)
ადმინისტრაციული ხარჯი	18	(3,761,955)	(3,727,603)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		4,903,546	1,963,667
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი		(4,972)	(127,180)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(839,508)	208,332
საპროცენტო შემოსავალი		94,182	12,461
საპროცენტო ხარჯი		(1,210,990)	(1,394,348)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	19	98,319	49,078
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(1,862,969)	(1,251,657)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე		3,040,577	712,010
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		3,040,577	712,010

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სქი რესორტ

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	33,742,114	(10,302,328)	23,439,786
წლის სრული შემოსავალი	-	712,010	712,010
2023 წლის 31 დეკემბერი	33,742,114	(9,590,318)	24,151,796
წლის სრული შემოსავალი	-	3,040,577	3,040,577
2024 წლის 31 დეკემბერი	33,742,114	(6,549,741)	27,192,373

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სქი რესორტ

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,422,463	1,694,853
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	18,527,894	12,141,333
მომწოდებლისგან უკან დაბრუნებული თანხები	-	8,916
შესყიდვები საოპერაციო საქმიანობისთვის	(2,083,833)	(1,505,446)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,562,579)	(2,778,345)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	(3,098,765)	(2,900,857)
გადახდილი გადასახადები	(1,444,022)	(1,096,532)
სესხის პროცენტის დაფარვა	(1,107,140)	(901,264)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,231,555	2,967,805
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(762,170)	(936,361)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	25,100	-
კაპიტალური ხარჯები	(821,337)	(325,365)
დივიდენდის მიღება	95,356	74,590
დეპოზიტის და სესხის % მიღება	94,182	12,461
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,368,869)	(1,174,675)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	2,223,204	1,425,190
გაცემული სესხის დაბრუნება	-	-
გაცემული სესხი	(263,740)	-
სესხის ძირის დაფარვა	(4,204,736)	(3,466,856)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2,245,272)	(2,041,666)
სავალუტო კურსის ეფექტი	34,743	(23,854)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2,652,157	(272,390)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,074,620	1,422,463

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სქი რესორტი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

1. შპს გუდაური სქი რესორტი და მისი საქმიანობა

შპს „გუდაური სქი რესორტი“ ს/კ 204576066 დაფუძნდა 2009 წლის 26 ნოემბერს. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2009 წლის 1 დეკემბერს, სერტიფიკატის ნომერი N 100738. კომპანიის ამჟამინდელი 100% წილის მესაკუთრეა მავრიკიაში რეგისტრირებული შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ინვესტმენტს ლიმიტედი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მაყაშვილის ქ., №31.

2021 წლის 3 სექტემბერს გუდაური სქი რესორტის დამფუძნებელმა მოახდინა კომპანიის რეორგანიზაცია-გაყოფა, რის შედეგადაც გაიყო გუდაური სქი რესორტის აქტივები და ვალდებულებები ობიექტების მიხედვით. გუდაური სქი რესორტის მიერ თბილისში ფლობილი აქტივები გადავიდა ახალ დამოუკიდებელ კომპანიაში (შპს თბილისი სი რეზორტი). გუდაური სქი რესორტი რჩება ისევ ისე როგორც იყო, იმავე სახელითა და კოდით და მის ბალანსზე დარჩება გუდაურის სასტუმროები მისი წილი ვალდებულებებითა და მოთხოვნებით.

კომპანიას საკუთრებაში გააჩნია გუდაურში მდებარე ორი სასტუმრო: სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“ და სასტუმრო „ალპინა“.

შპს გუდაური სქი რესორტმა სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“ შეიძინა 2009 წლის დეკემბრის თვეში და მოახდინა სასტუმროს სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სასტუმროს განახლება, ხოლო სასტუმრო „ალპინა“ გაიხსნა 2014 წლის დასაწყისში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს გუდაური სქი რესორტს გააჩნია ინვესტიცია შემდეგ მეკავშირე და შვილობილ კომპანიებში:

კომპანია	საქმიანობა	კავშირის ტიპი	წილი
სს გუდაური დეველოპმენტ კომპანი	უფონქციო	შვილობილი საწარმო	100%
შპს მარკო პოლო რეზიდენს	უფონქციო	შვილობილი საწარმო	100%
შპს მარკო პოლო სქი (441484751)	თხილამურების გაქირავება	მეკავშირე	35%

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. შესაბამისობის ანგარიში

მომზადების საფუძვლები. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

3. ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

4. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედი ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელი ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გადახდაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამისი პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს ბიზნესის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყვია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-60 დღე	61-90 დღე	>90
დარეზერვების პროცენტულობა	2%	25%	50%	100%

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

მეკავშირე საწარმოს შეფასება

მეკავშირე განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება კომპანიის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და, სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება- შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

მიწაზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში	
შენობა-ნაგებობები	20
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
მოწყობილობა-დანადგარები და სხვა	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	8
ავეჯი და ოფისის სხვა აღჭურვილობა	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ფინანსური იჯარა. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი, რომლებიც შესაბამისად ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგების პერიოდისათვის.

მოიჯარე ასევე ვალდებულია, გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება, მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს ბასს 17-ის საფუძველზე არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს,

თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე, მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ, კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში კომპანიაში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხვას აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

კომპანიამ შექმნა რეზერვების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიკურია.

ყველა შემთხვევაში კომპანია მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირით ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოდ, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევა, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიკური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება პირვანდელი ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და

ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა, ძირითადად, მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოებასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	მოწყობილობა- დანადგარები და სხვა	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	3,343,018	1,237,162	25,517,914	359,014	7,199,135	1,584,681	39,240,924
შეძენა	12,290,847	605,349	720	101,939	1,010,829	94,375	14,104,059
რეალიზაცია	-	-	-	-	(2,076)	(4,956)	(7,032)
ტრანსფერი	-	(1,842,511)	1,814,854	-	26,089	1,568	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	15,633,865	-	27,333,488	460,953	8,233,977	1,675,668	53,337,951
შეძენა	805	953,466	-	21,895	260,287	143,619	1,380,072
რეალიზაცია	-	-	-	(48,902)	-	-	(48,902)
ტრანსფერი	-	(953,466)	694,881	-	211,626	46,959	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	15,634,670	-	28,028,369	433,946	8,705,890	1,866,246	54,669,121
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	-	(5,732,015)	(282,794)	(4,265,430)	(1,095,523)	(11,375,762)
ცვეთის ხარჯი	-	-	(509,404)	(13,359)	(576,081)	(114,616)	(1,213,460)
ცვეთის რევერსი	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	-	(6,241,419)	(296,153)	(4,841,511)	(1,210,139)	(12,589,222)
ცვეთის ხარჯი	-	-	(568,196)	(19,350)	(587,157)	(130,013)	(1,304,716)
ცვეთის რევერსი	-	-	-	16,301	-	-	16,301
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	-	-	(6,809,615)	(299,202)	(5,428,668)	(1,340,152)	(13,877,637)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	3,343,018	1,237,162	19,785,899	76,220	2,933,705	489,158	27,865,162
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	15,633,865	-	21,092,069	164,800	3,392,466	465,529	40,748,729
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2024	15,634,670	-	21,218,754	134,744	3,277,222	526,094	40,791,484

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

სულ კომპანიისათვის გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების კატეგორიაში.

ღირებულება	საფეხბურთო მოედანი	სულ
31 დეკემბერი 2022	5,993,804	5,993,804
დამატება	-	-
31 დეკემბერი 2023	5,993,804	5,993,804
დამატება	-	-
31 დეკემბერი 2024	5,993,804	5,993,804
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2022	(61,365)	(61,365)
ცვეთა წლის განმავლობაში	(85,626)	(85,626)
31 დეკემბერი 2023	(146,991)	(146,991)
ცვეთა წლის განმავლობაში	(85,625)	(85,625)
31 დეკემბერი 2024	(232,616)	(232,616)
ნარჩენი ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	5,932,439	5,932,439
31 დეკემბერი 2023	5,846,813	5,846,813
31 დეკემბერი 2024	5,761,188	5,761,188

კომპანიამ იჯარის სარგებლობით აიღო საფეხბურთო მოედნები მეიჯარისგან, რომლის მიმართაც ჰქონდა სასესხო მოთხოვნა. ხოლო იჯარის ხელშეკრულების მიხედვით საიჯარო თანხის დაფარვა უნდა მოხდეს აღნიშნული მოთხოვნის ყოველთვიური გაქვითვით იჯარის მთლიან პერიოდზე იმ პირობით, რომ მოიჯარეს აღარ მოუწევს თანხის გადახდა მეიჯარის მიმართ. შესაბამისად აღნიშნული ოპერაციით არ წარმოშობილა საიჯარო ვალდებულება, არამედ ბალანსში მხოლოდ აქტივის გამოყენების უფლების აღიარება მოხდა.

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

ფრაგმენტი მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან	2024	2023
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და ამორტიზაცია	(85,625)	(85,626)
მოგება-ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	(85,625)	(85,626)

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

8 მიმდინარე სასაქონლო მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს:

	2024	2023
კვების პროდუქტი	170,350	199,937
მაღაზიის საქონელი	6,475	15,523
სხვა მარაგები	273,150	148,118
სულ სასაქონლო მარაგები	449,975	363,578

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

	2024	2023
მოთხოვნები მომსახურებიდან	636,468	310,316
საექვო ვალების რეზერვი	(27,808)	(141,037)
წინასწარი გადახდები	-	418,947
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	608,660	588,226

10 ფული და ფულის ეკვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,997,808	1,379,751
ნაღდი ფული სალაროში	76,812	42,712
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,074,620	1,422,463

11 საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 33,742,114 ლარს.

აღნიშნული სიდიდით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ჩამოყალიბებულია 2012 წლიდან და შემდგომში მეტად აღარ შეცვლილა.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

12 სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოკლევადიანი სესხების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	USD	GEL	USD	GEL
სესხი ლიბერთი ბანკი #1	11,439	32,107	10,668	28,689
სესხი ლიბერთი ბანკი #2	6,345	17,809	5,917	15,914
სესხი ლიბერთი ბანკი #3	550,936	1,546,367	511,213	1,374,856
სესხი ლიბერთი ბანკი #4	90,705	254,591	89,063	239,526
სესხი ლიბერთი ბანკი #5	21,842	61,306	21,446	57,678
სესხი ლიბერთი ბანკი #6	182,288	511,646	179,073	481,598
სს ტერაბანკი	1,428,048	4,008,243	1,848,013	4,970,046
სულ მოკლევადიანი სესხები	2,291,603	6,432,069	2,665,393	7,168,307

მოკლევადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შეადგენს 7-9 %-ს

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი სესხების ბალანსები მოიცავს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხი ლიბერთი ბანკი #1	დოლარი	7%	118,477	144,285
სესხი ლიბერთი ბანკი #2	დოლარი	7%	65,721	80,150
სესხი ლიბერთი ბანკი #3	დოლარი	7%	6,140,193	7,371,994
სესხი ლიბერთი ბანკი #4	დოლარი	7%	881,202	1,088,285
სესხი ლიბერთი ბანკი #5	დოლარი	7%	212,191	262,057
სესხი ლიბერთი ბანკი #6	დოლარი	7%	1,792,533	863,102
ტერა ბანკის სესხი	დოლარი	8%	-	-
რელინგტონი #1	დოლარი	7%	1,403,400	1,344,700
უნირენჯი #1	დოლარი	6%	950,655	910,892
უნირენჯი #2	დოლარი	5%	289,690	277,573
უნირენჯი #3	დოლარი	7%	81,959	78,530
უნირენჯი #4	დოლარი	7,5%	1,823,842	1,875,547
უნირენჯი #5	დოლარი	7%	545,585	522,767
სულ სესხები			14,305,448	14,819,882

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
გამოუმუშავებელი შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	2,788,344	1,821,591
სავაჭრო ვალდებულებები	581,314	718,161
გადასახდელი ხელფასები	309,186	206,803
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,678,844	2,746,555

14 სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გადასახდელ საპროცენტო ხარჯს, რომელიც დარიცხულია აღებულის სესხის ძირეზზე, 2024 წელს სხვა ფინანსური ვალდებულებების ნაშთია 891,755 ლარი, ხოლო 2023 წელს კი 764,858 ლარი.

15 ამონაგები

შემოსავალი შედგება შემდეგისგან:

	2024	2023
სასტუმროს მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	13,536,632	8,985,995
სასტუმროს ქირიდან მიღებული შემოსავლები	585,023	596,500
სტადიონის ქირებიდან მიღებული შემოსავლები	127,124	110,213
სხვა შემოსავალი	786,519	662,558
სულ ამონაგები	15,035,298	10,355,266

სასტუმროს ქირიდან მიღებული შემოსავალი არის კომპანიის მიერ სასტუმროს ფართის მოკლევადიანი პერიოდით გაქირავებისგან მიღებული სარგებელი, ამ შემთხვევაში მომხარებელი მხოლოდ საცხოვრებელში იხდის ქირას და არ სარგებლობს სასტუმროს პერსონალის მომსახურებით და კვებით.

დამსვენებლები გასართობად ქირაობენ კომპანიის საკუთრებაში არსებულ სათამაშო კორტებს/სტადიონებს და ამ მომსახურებით მიღებული სარგებელი ასახულია მუხლში სტადიონის ქირებიდან მიღებული შემოსავლები.

16 საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისგან:

	2024	2023
კვების პროდუქტის ხარჯი	1,121,565	909,531
ტურისტული მომსახურების საკომისიო	643,517	301,280
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	215,715	75,331
სასტუმროს მომსახურების სხვა ხარჯი	213,119	340,599
სტადიონის და მინდვრის მოვლა	174,639	121,864
მცირე ფასიანი ინვენტარი	81,630	74,439
სხვა ხარჯები	12,692	-
სულ საოპერაციო ხარჯები	2,462,877	1,823,044

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

17 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	3,765,650	2,751,143
სხვა სარგებელი	56,406	36,904
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	3,822,056	2,788,047

18 ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	1,399,658	1,312,567
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	1,029,258	1,131,810
საგადასახადო ხარჯი	295,108	291,882
საბანკო მომსახურება	181,185	105,055
დაცვის ხარჯი	180,971	279,214
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება	84,079	84,167
რემონტის ხარჯი	71,352	267,779
სხვა ზოგადი ხარჯი	520,344	255,129
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	3,761,955	3,727,603

19 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2024	2023
მოგების წილი მეკავშირე საწარმოსგან	130,928	114,328
კომპანიის სასარგებლოდ ჯარიმის ასაზღაურება	116,042	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციის წმინდა შედეგი	(7,501)	-
ჯარიმის ხარჯები	(72,850)	-
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურება	(100,111)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი წმინდა	31,811	(65,250)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	98,319	49,078

20 პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. 2017 წლის იანვრიდან კომპანია ჩართულია სამართლებრივ დავაში შპს „ჯეო იმპორტთან“, რომლის საფუძველზეც საზოგადოებაზე რეგისტრირებულია სასამართლო აკრძალვა: 102017033114 01/02/2017 (საგანი: უძრავი ნივთი: რაიონი ყაზბეგი, სოფელი გუდაური, 74.06.11.895, აკრძალოს ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. საფუძველი: განჩინება, N2/1889-17, 31.01.2017, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოება არ მონაწილეობდა სხვა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2018 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა. საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან დაიწყო ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) გავრცელება მთელ მსოფლიოში, რომელიც სწრაფად გავრცელდა, რის შედეგადაც 2020 წლის მარტში მას მიენიჭა პანდემიის სტატუსი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად ქვეყნების მიერ მიღებულმა ზომებმა გამოიწვია მრავალი კომპანიების ოპერაციების შეწყვეტა ან ხელის შეშლა და ასევე მიღებულმა ზომებმა დიდი გავლენა იქონია გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. გამომდინარე იქედან რომ სიტუაცია სწრაფად ვითარდება და იცვლება, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე სხვადასხვა სექტორში, რაც შესაძლებელია გამოიხატოს, თუმცა არ შემოიფარგლოს ისეთი გავლენებით როგორებიცაა ბიზნეს ოპერაციების შეფერხება, საქონლის მომწოდებლებისგან შეფერხება, წარმოების შეფერხება ან ობიექტების დახურვა, პერსონალის კარანტინი, პროდუქტებზე შემცირებული მოთხოვნა და დაფინანსების მოპოვების გაზრდილი სირთულეები. ამასთან, კომპანიამ შეიძლება განიცადოს COVID-19-ის უფრო და უფრო ფართო ეფექტები გლობალურ ეკონომიკასა და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი გავლენის შედეგად. COVID-19-ის ეფექტის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე დიდწილად დამოკიდებულია პანდემიის მოქმედების ხანგრძლივობასა და სიხშირეზე მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკაზე.

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და პანდემიის მომავალი განვითარებისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი გავლენის მოლოდინები ბოლო დღეების განმავლობაში სავალუტო ბაზარზე გაზრდილ მერყეობაშიც აისახა რამაც გამოიწვია სხვა ვალუტებთან მიმართებაში ქართული ლარის გაუფასურება.

21 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები	31.დეკ.24	31.დეკ.23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	608,660	588,226
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,074,620	1,422,463
სულ საკრედიტო რისკი	4,683,280	2,010,689

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31.დეკ.24		31.დეკ.23	
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	139,667	4,593	139,667	278
გაცემული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	0	-
სულ ფინანსური აქტივები	139,667	4,593	139,667	278
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	20,737,517	-	21,988,189	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	83,668	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,737,517	-	22,071,857	-
სულ წმინდა პოზიცია	(20,597,850))	4,593	(21,932,190)	278

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(4,119,570)	4,119,570	919	(919)

2023 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(4,386,438)	4,386,438	56	(56)

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან მიმართებაშიც.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ სესხები	20,737,517	21,988,189
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,678,844	2,746,555
წმინდა სესხები	24,416,361	24,734,744
სულ კაპიტალი	27,192,373	24,151,796
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	89.79%	102.41%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაუერთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი:

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,074,620	-	4,074,620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	608,660	-	608,660
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	4,683,280	-	4,683,280
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,678,844	-	3,678,844
სესხები	6,432,069	14,305,448	20,737,517
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	10,110,913	14,305,448	24,416,361
ლიკვიდობის დეფიციტი	(5,427,633)	(14,305,448)	(19,733,081)

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბერი:

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,422,463	-	1,422,463
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	169,279	-	169,279
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	1,591,742	-	1,591,742
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	924,964	-	924,964
სესხები	7,168,307	14,819,882	21,988,189
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	8,093,271	14,819,882	22,913,153
ლიკვიდობის დეფიციტი	(6,501,529)	(14,819,882)	(21,321,411)

22 ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
31 დეკემბერი 2024			
მიღებული სესხები	-	-	5,095,131
სხვა დარიცხული ფინანსური	-	-	19,221
ვალდებულებები			
სხვა მოთხოვნები			522,285
31 დეკემბერი 2023	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	სხვა
მიღებული სესხები	-	-	5,010,009

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

23 მეკავშირე და შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

საზოგადოება ფლობს 35%-იან წილს მეკავშირე საწარმოში შპს „მარკო პოლო სქი“, რომლისგან მიღებული დივიდენდი ჩართულია სხვა შემოსავალში 2024 და 2023 წლებში.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გააუფასურა ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში ჯამში 100,111 ლარის ოდენობით, რადგან აღარ ელოდებოდა სარგებლის მიღებას ამ აქტივებისგან.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე და შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სს გუდაური დეველოპმენტ კომპანი	-	100,000
შპს მარკო პოლო რეზიდენს	-	111
შპს მარკო პოლო სქი	122,153	86,581
სულ მეკავშირე და შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები	122,153	186,692

24 შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ რეპორტის გაცემის თარიღამდე (30.09.2025), ჯგუფმა გადაიხადა 3,632,814 ლარის სესხი.

შპს გუდაური სკი რესორტ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მმართველობის ანგარიშგება

შპს „გუდაური სკი რესორტ“ (ს/კ 204576066) დაფუძნებულია 2009 წლის 26 ნოემბერს. მისი ამჟამინდელი 100% წილის მესაკუთრეა მავრიკიაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ინვესტმენტს ლიმიტედი. შპს გუდაური სკი რესორტ-ს დაფუძნებული აქვს ორი შვილობილი კომპანია.

შპს გუდაური სკი რესორტ-ის დირექტორია შოთა გვასალია, ხოლო ძირითად მმართველობით გადაწყვეტილებების იღებს კომპანიის მმართველი გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან:

შპს გუდაური სკი რესორტ-ის დირექტორი;

შპს გუდაური სკი რესორტ-ის პროექტების დირექტორი;

შპს გუდაური სკი რესორტ-ის ფინანსური დირექტორი;

შპს გუდაური სკი რესორტ-ის საკუთრებაში არსებული სასტუმროების გენერალური მენეჯერები; შპს „გუდაური სკი რესორტ“-ს საკუთრებაში გააჩნია გუდაურში მდებარე ორი სასტუმრო, სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“, რომელიც 1988 წლიდან მასპინძლობს სტუმრებს, ასევე სასტუმრო „ალპინა“, რომელიც 2014 წელს არის გახსნილი. კომპანიის საკუთრებაშია ასევე გუდაურში, სასტუმროს მიმდებარედ განთავსებული 3 დასასვენებელი კოტეჯი. რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლის დეკემბრიდან. ასევე ჰოსტელის ტიპის შენობას, რომელიც ფუნქციონირებას დაიწყო 2023 წლის იანვრიდან. მდენად კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სასტუმროს და კვების ობიექტებით მომსახურების გაწევა.

სასტუმროს მომსახურების რეალიზაცია ხდება სხვადასხვა გზით, კერძოდ ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული კომპანიების მეშვეობით, ონლაინ ტურისტული სააგენტოებისა (expedia, booking.com, hrs. და სხვა.) და სასტუმროს საიტების (www.marcopolo.ge და www.hotelalpine.ge) მეშვეობით, კორპორატიულ კლიენტებთან თანამშრომლობითა და სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობით.

- სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“ აკმაყოფილებს 4 ვარსკვლავის საერთაშორისო დონეს. სასტუმროში განთავსებულია ჯამში 123 ნომერი, კერძოდ 89 სტანდარტული ნომერი, 24 ნახევრად ლუქსი, 7 საოჯახო ნომერი, 2 ლუქსი და 1 საპრეზიდენტო ნომერი. სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს 24 საათიან მომსახურებას და უზრუნველყოფს 4 ვარსკვლავიანი სტანდარტით აღჭურვილ ნომრებს.

მომსახურების ღირებულება დიფერენცირებულია სასტუმროს ნომრის კატეგორიისა და სეზონების მიხედვით. სასტუმროს მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება სტანდარტული, საახალწლო და ზაფხულის სეზონის ფასების მიხედვით. სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“-ში ნომრების გასაყიდი ფასი 2024 წელს მერყეობდა 60 აშშ დოლარიდან 2,000 აშშ დოლარამდე სეზონისა და ოთახების კატეგორიის მიხედვით.

სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“-ს ტერიტორიაზე განთავსებულია მთავარი რესტორანი (270 ადამიანის ტევადობის), 3 ბარი, ღამის კლუბი, საბავშვო გასართობი ზონა, სპა ცენტრი, საცურაო აუზი, 7 საკონფერენციო დარბაზი, 2 ტენისის კორტი. სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს სხვადასხვა საზაფხულო და ზამთრის ტურებს, როგორცაა რაფტინგი, ცხენებით გასეირნება, კვადრო ტურები, პარაგლაიდინგი და სხვა. სასტუმროს ტერიტორიაზე ხორციელდება სათხილამურო და სნოუბორდის აღჭურვილობის გაქირავება. სასტუმროს გააჩნია უფასო ავტოსადგომი და წვდომა სათხილამურო გზასთან.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

- სასტუმრო „ალპინა“ აკმაყოფილებს 3 ვარსკვლავის საერთაშორისო დონეს. სასტუმროში განთავსებულია 60 სტანდარტული ნომერი. სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს 24 საათიან მომსახურებას და უზრუნველყოფს 4 ვარსკვლავიანი სტანდარტით აღჭურვილ ნომრებს. სასტუმრო „ალპინა“-ს მომსახურების ღირებულება დიფერენცირებულია სეზონების მიხედვით. სასტუმროს მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება სტანდარტული, საახალწლო და ზაფხულის სეზონის ფასების მიხედვით. სასტუმრო „ალპინა“-ში ნომრის გასაყიდი ფასი მერყეობს 30 აშშ დოლარიდან 150 აშშ დოლარამდე სეზონისა და ოთახის კატეგორიის მიხედვით. სასტუმრო „ალპინა“-ს ტერიტორიაზე განთავსებულია რესტორანი, ლაუნჯ ბარი, გასართობი ზონა, საკონფერენციო დარბაზი. სასტუმროს ტერიტორიაზე ხორციელდება სათხილამურო და სნოუბორდის აღჭურვილობის გაქირავება. სასტუმროს გააჩნია უფასო ავტოსადგომი და წვდომა სათხილამურო გზასთან, მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულია TATRA-ს ფირმის საჩოჩიალო, რომელიც უზრუნველყოფს სტუმრების სათხილამურო გზაზე გადაყვანას.

გუდაურსში მომსახურება განახლა კვების ობიექტმა სახელად „ხიჭინა“, რომელიც ორგანიზაციის საკუთრებაა.

შპს გუდაური სქი რესორტ-ის სასტუმროებს ბაზარზე მყარი პოზიციები აქვთ დაკავებული, რაც მოხერხდა როგორც მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევით ისე კონკურენტული სარეალიზაციო ფასების დაწესებით.

სასტუმროების კვებით ობიექტებში მკაცრად კონტროლდება პროდუქციის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები. საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხს არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას. კომპანიის მიერ აღნიშნული მოთხოვნების დაცვა ხდება მუდმივად.

შპს „გუდაური სქი რესორტში“ 2021 წელს მოხდა რეორგანიზაცია (გაყოფა) , კერძოდ სასტუმროს გამოეყო თბილისის ზღვაზე არსებული აქტივები და ვალდებულებები .

შპს გუდაური სქი რესორტ-ის დაფინანსება ხორციელდება როგორც კომპანიის საბრუნავი საშუალებებით, ასევე მოზიდული სახსრებით.

რაც შეეხება რისკ ფაქტორებს, კომპანიისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს დოლარის კურსის ცვლილება, აგრეთვე სასტუმროს მომსახურებისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკური სიტუაცია , გუდაურში ზამთრის სეზონის ხანგრძლივობა.

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათავო ოფისის მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან 2024 წელს დასაქმებული იყო საშუალოდ დაახლოებით 150 კაცი.

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ქვემოთ იხილეთ რაოდენობრივი მონაცემები კომპანიის სასტუმროების შესახებ:

სასტუმრო მარკო პოლო:

კაცთა ოდენობა		წლის საშუალო დატვირთულობა %		ზამთრის სეზონის საშუალო დატვირთულობა %		ზაფხულის სეზონის საშუალო დატვირთულობა %	
2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ
55,213	43,617	63%	50%	75%	63%	54%	42%

პერიოდი	ADR (შემოსავალი/გაყიდული ოთახების რაოდენობა)	RevPAR	ADR (შემოსავალი/გაყი დული ოთახების რაოდენობა)	RevPAR
		(ADR*დატვირთულობის %)		(ADR*დატვირთულობის %)
	2024 წელი		2023 წელი	
ზამთრის სეზონის საშუალო	524	418	432	277
ზაფხულის სეზონის საშუალო	222	120	177	74

სასტუმრო ალპინა 2023-24 წლებში მუშაობდა მხოლოდ ზამთრის სეზონზე შესაბამისად მაჩვენებელიც არის ზამთრის.

სასტუმრო ალპინა:

კაცთა ოდენობა		საშუალო დატვირთულობა %	
2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ
2,309	2,146	25%	18%

ADR (შემოსავალი/გაყიდული ოთახების რაოდენობა)	RevPAR (ADR*დატვირთულობის %)	ADR (შემოსავალი/გაყიდული ოთახების რაოდენობა)	RevPAR (ADR*დატვირთულობის %)
2024 წელი		2023 წელი	
298.22	74.95	212.95	26.05

შპს გუდაური სქი რესორტ-ის დირექტორი
შოთა გვასალია

30 სექტემბერი 2025

შპს გუდაური სკი რესორტი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გუდაური სკი რესორტი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სკი რესორტ


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	40,791,484	40,748,729
სხვა არამატერიალური აქტივები		64,610	73,929
აქტივის გამოყენების უფლება	7	5,761,188	5,846,813
ინვესტიციები მეკავშირე და შვილობილ კომპანიებში	23	122,153	186,692
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,739,435	46,856,163
მიმდინარე აქტივები			
მიმდინარე სასაქონლო მარაგები	8	449,975	363,578
საგადასახადო მოთხოვნა		105,514	161,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	608,660	588,226
სხვა დარიცხული მოთხოვნები		522,285	259,185
ფული და ფულის ექვივალენტები	10	4,074,620	1,422,463
სულ მიმდინარე აქტივები		5,761,054	2,795,235
სულ აქტივები		52,500,489	49,651,398
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	33,742,114	33,742,114
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(6,549,741)	(9,590,318)
საკუთარი კაპიტალი		27,192,373	24,151,796
გრძელვადიანი ვალდებულება			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	12	14,305,448	14,819,882
საიჯარო ვალდებულება	7	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		14,305,448	14,819,882
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	6,432,069	7,168,307
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,678,844	2,746,555
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	891,755	764,858
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,002,668	10,679,720
სულ ვალდებულებები		25,308,116	25,499,602
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		52,500,489	49,651,398

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სკი რესორტ

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამონაგები	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო ხარჯები	15	15,035,298	10,355,266
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16	(2,462,877)	(1,823,044)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	17	(3,822,056)	(2,788,047)
ადმინისტრაციული ხარჯი		(84,864)	(52,905)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	18	(3,761,955)	(3,727,603)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		4,903,546	1,963,667
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი		(4,972)	(127,180)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და გადაფასებიდან		(839,508)	208,332
საპროცენტო შემოსავალი		94,182	12,461
საპროცენტო ხარჯი		(1,210,990)	(1,394,348)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	19	98,319	49,078
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(1,862,969)	(1,251,657)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე		3,040,577	712,010
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		3,040,577	712,010

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი



მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი


2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი


შპს გუდაური სეი რესორტ

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	33,742,114	(10,302,328)	23,439,786
წლის სრული შემოსავალი	-	712,010	712,010
2023 წლის 31 დეკემბერი	33,742,114	(9,590,318)	24,151,796
წლის სრული შემოსავალი	-	3,040,577	3,040,577
2024 წლის 31 დეკემბერი	33,742,114	(6,549,741)	27,192,373

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.


შოთა გვასალია
დირექტორი
2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი


მაკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი
2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სქი რესორტ

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,422,463	1,694,853
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	18,527,894	12,141,333
მომწოდებლისგან უკან დაბრუნებული თანხები	-	8,916
შესყიდვები საოპერაციო საქმიანობისთვის	(2,083,833)	(1,505,446)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,562,579)	(2,778,345)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	(3,098,765)	(2,900,857)
გადახდილი გადასახადები	(1,444,022)	(1,096,532)
სესხის პროცენტის დაფარვა	(1,107,140)	(901,264)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,231,555	2,967,805
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(762,170)	(936,361)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	25,100	-
კაპიტალური ხარჯები	(821,337)	(325,365)
დივიდენდის მიღება	95,356	74,590
დეპოზიტის და სესხის % მიღება	94,182	12,461
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,368,869)	(1,174,675)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	2,223,204	1,425,190
გაცემული სესხის დაბრუნება	-	-
გაცემული სესხი	(263,740)	-
სესხის ძირის დაფარვა	(4,204,736)	(3,466,856)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2,245,272)	(2,041,666)
სავალუტო კურსის ეფექტი	34,743	(23,854)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2,652,157	(272,390)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,074,620	1,422,463

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 სექტემბერს.

შოთა გვასალია
დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

მკა ცხომელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ქვემოთ იხილეთ რაოდენობრივი მონაცემები კომპანიის სასტუმროების შესახებ:

სასტუმრო მარკო პოლო:

კაცთა ოდენობა		წლის საშუალო დატვირთულობა %		ზამთრის სეზონის საშუალო დატვირთულობა %		ზაფხულის სეზონის საშუალო დატვირთულობა %	
2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ
55,213	43,617	63%	50%	75%	63%	54%	42%

პერიოდი	ADR (შემოსავალი/გაყიდული ოთახების რაოდენობა)	RevPAR (ADR*დატვირთულობის %)	ADR (შემოსავალი/გაყი დული ოთახების რაოდენობა)	RevPAR (ADR*დატვირთულობის %)
	2024 წელი		2023 წელი	
ზამთრის სეზონის საშუალო	524	418	432	277
ზაფხულის სეზონის საშუალო	222	120	177	74

სასტუმრო ალპინა 2023-24 წლებში მუშაობდა მხოლოდ ზამთრის სეზონზე შესაბამისად მაჩვენებელიც არის ზამთრის.

სასტუმრო ალპინა:

კაცთა ოდენობა		საშუალო დატვირთულობა %	
2024 წ	2023წ	2024 წ	2023წ
2,309	2,146	25%	18%

ADR (შემოსავალი/გაყიდულ ი ოთახების რაოდენობა)	RevPAR (ADR*დატვირთულობის %)	ADR (შემოსავალი/გაყიდულ ი ოთახების რაოდენობა)	RevPAR (ADR*დატვირთულობის %)
2024 წელი		2023 წელი	
298.22	74.95	212.95	26.05

შპს გუდაური სქი რესორტ-ის დირექტორი
შოთა გვასალია



30 სექტემბერი 2025